

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულება

საზოგადოებაში ქალის როლისადმი

თბილისის 10 ეკლესიის მაგალითი

ლაურა გამყრელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის

კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოქტორი სოფიკო ზვიადაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაურა გამყრელიძე

21.06.2018

აბსტრაქტი

ნაშრომის მთავარი თემაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხედვა ქალის როლისადმი საზოგადოებაში. კვლევის მიზანია, დაადგინოს მართლმადიდებელი სასულიერო პირების შეხედულებები ქალის როლისადმი, ასევე რამდენად ჩანს პატრიარქალური კულტურის გავლენა სასულიერო პირების შეხედულებებზე.

კვლევის მთავარი სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სასულიერო პირები, რომლებიც მსახურობენ თბილისის ეკლესიებში. ნაშრომში განხილული იქნება, სასულიერო პირების დამოკიდებულება: ქალისა და მამაკაცის თანასწორობისადმი, ასევე ქალის საჯარო სფეროში ჩართულობის, ხელოვნური განაყოფიერების, ოჯახისა და ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობებისადმი.

იმისთვის, რომ უფრო ნათელი იყოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება ნაშრომში განხილულია საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ეპისტოლეები და ქადაგებები, რომლებიც კვლევის ძირითად თემას ეხება. ეს საშუალებას მოგვცემს დავინახოთ რამდენად თანხმობაშია სასულიერო პირების და პატრიარქის მოსაზრებები.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეთმობა იმ ძირითადი კონცეპტების მიმოხილვას, რომლის შუქზეც მოხდა კვლევის გაანალიზება. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ემპირიულ კვლევას და შედეგების ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: ქალი, რელიგია, სასულიერო პირები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ოჯახი.

Abstract

The main goal of the article is to represent how the Georgian orthodox church sees the role of the women in the society. The research aims to detect the attitudes of the orthodox priests towards the role of the women. Furthermore, it aims to clearly show how much are the priests opinions framed under the influence of the patriarchal culture. The main research groups are the priests of Tbilisi cathedrals. To achieve the research goals, the following scientific methods were used: observation, interviews. Research topics are the following ones: gender equality, the active engagement of women in public life, family and prohibition of the sexual intercourse before the marriage.

To be shown more obviously the attitude of the Georgian orthodox church towards the role of the women, there are epistles of Georgian patriarch Illia the second in the article. These epistles are about the same topic and in the article is shown how much the priests agree with patriarch's opinions and ideas.

The main part of the article is all about the research analysis. There are spaciouly examined the each of the topic. These topics give us possibility to discuss on the large scale what is the exact role of the women in the Georgian society according to Georgian orthodox church.

Key words: woman, religion, Georgian Orthodox Church, priests, family